მთავრობის შესახებ

გაზეთი “ახალი თაობა” – 16 სექტემბერი, № 219, 2010

რა შეცდომას უშვებს სააკაშვილი მინისტრებტან მიმართეევაში და რის გამო ინარჩუნებს პრემიერი გილაური პრემიერის პოსტს? – ამ საკითხების ირგვლივ რამდენიმე კითხვით მივმართეთ ექსპერტ ლადო პაპავას.

– ბატონო ლადო, რამდენად იგრძნობა ნტავდობის ხრიდან “ქამრების შემოჭერა”, რაზეც პრეზიდემტმა უმრავლესობასთან შეხვედრაზე უკვე ემრამდენედ განაცხადა?

– კარგით რა. ჩვენ ხშირად გვსმენია ამის შესახებ. პრეზიდენტმა ეს უნდა თქვას. მაგრამ თუ უკვე შენიშნა, რომ არ შემოუჭრიათ ეს ქამარი, კარგია. მინისტრს, რომელსაც საჯაროდ გალანძღავ, რაც პრეზიდენტმა სააკაშვილმა გააკეთა ერთ-ერთ ღია მთავრობის სხდომაზე ტბასთან რომ გამართა, ამ დროს ის კაცი მინისტრად აღარ უნდა დატოვო. სხვათა შოროს, ამ შეცდომას უშვებდა ედუარდ შევარდნაძეც. თუ შენ გყავს მინისტრი, ამ მინიტრს ავტორიტეტი უნდა შეუქმნა. ხოლო თუ შენ ის არ მოგწონს და საჯაროდ გალანძღავ, იქვე უნდა მოხსნა. თუ პრეზიდენტი მინისტრს საჯაროდ გალანძღავ და ისევ მინისტრად დატოვებ, ის უკვე დაჩმორებული, დაკნინებული მინისტრია. ასეთი კაცი მინისტრად არ უნდა დატოვო. მაგრამ ეს არ არის სააკაშვილის შეცდომა. როგორც გითხარით, იგივე შეცდომას შევარდნაძეც უშვებდა, საჯაროდ გააშაყირებდა მინისტრს, საჯაროს შეურაცხყოფას მიაყენებდა და მერე მაინც არ ხსნიდა. ასეთი დასუსტებული მინისტრი რად გინდა?! შენ მთავრობას თვითონვე თუ გალანძღავ, მაშინ მოსახლეობა უფრო ამზერილად შეხედავს ამ შენ გალანძღულ და თავსლაფდასხმულ მინისტრებს. ამიტომ თუ მიდიხარ იმაზე, რომ ატარებ ღია მთავრობის სხდომას და ლანძღავ და მიწასთან ასწორებ მინისტრებს, იქვე მოხსენი. ხოლო თუ კონკრეტული მინისტრის მოხსნა არ გინდა, ნუ ლანძღავ საჯაროდ. საჯაროდ უფრო ზომიერი განცხადებები გააკეთე, ისე კაბინეტში დაიბარე და ტყავი გააძრე. საჯაროდ თუ მინისტრს ლანძღავ, მაშინ მისი დატოვება შეცდომაა.

– როგორ ფიქრობთ, ეს მხოლოდ პიარზე გათვლილი განცხადება იყო პრეზიდემტის მხრიდან თუ სააკაშვილი კონკრეტული მინისტრების მიერ ნაშოვნმა ქონებამ გააღიზიანა?

– რა გითხრათ. ამაზე ნამდვილად ვერაფერს გეტყვით. იმიტომ, რომ რომელიმე მინისტრს რომ მართლაც ასეთი რამე ჰქონდეს ჩადენილი, მაშინ პრეზიდენტი უფრო კონკრეტულად იმოქმედებდა. მაგრამ ჯერ არ მოქმედებს. ამიტომ, არც ის არის გამორიცხული, რომ ხვალ-ზეგ ვიღაცას მართლაც მოსცხოს მათრახი ამის გამო. არც ის არის გამორიცხული, რომ ეს სიტყვები საერთოდ მივიწყებას მიეცეს. პირველად ხპომ არ უთქვია ქამრების შემოჭერაზე. 2008 წელს პირველად გაიუღერა, როდესაც კრიზისი დაიწყო რომ ქამრები შემოიჭირეთო. ამის გამო ვინმე დაისაჯა?! თუმცა ქამარიც დიდად არავის შემოუჭერია.

– ეს გასაგებია, ბატონო ლადო, მაგრამ პრეზიდენტის ამ ბოლო განცხადებას, წინ უძღოდა მის მიერვე ინიცირებული ანტიკორუფციული ახალი ტალღა.

– ამ პროგრამაზე ვერაფერს გეტყვით, არ მინახავს. მაგრამ ვფიქრობ, რომ საქართველოში ანტიკორუფციული ძირითადი ღონისძიებები მთავრობამ პრაქტიკულად "ვარდების რევოლუციის" პირველივე დღეებში გაატარა. ამის შემდეგ რაიმე ახალს, მე ვერ ვხედავ. ანტიკორუფციული ღინისძიებები გატარდა, ზოგიერთი განსაკუთრებულად წარმატებით, ზოგიერთი მხოლოდ პიარის ფუნქციას ატარებდა. სამწუხაროდ, არ წამიკითხავს და რაც არ წამიკითხავს, იმაზე კომენტარს ვერ გავაკეთებ.

– ბატონო ლადო, თქვენ ჩვენთან საუბრისას სოფლის მეურნეობის და ენერგეტიკის მინისტრების პასუხისმგებლობის საკითხი გამოკვეთეთ. იკვეთება თუ არა პრემიერ გილაურის პასუხისმგებლობაც, როგორც მთავრობის ხელმძღვანელის?

– მე შემოიძლია გითხრათ, რონ ნიკა გილაური ბევრად უფრო წარმატებული პრემიერ-მინისტრია, ვიდრე ლადო გურგენიძე. ის რომ არ იყოს მორგებადი სიტუაციაზე, ამდენხანს მთავრობაში ვერ იქნებოდა. იყო ენერგეტიკის მინისტრი, გახდა ფინანსთა მინისტრი, შემდეგ – პრემიერ მინისტრი. დღემდე ინარჩუნებს ამ თანამდებობას. ასე რომ, გილაურმა საკმაოდ წარმატებული პოლიტიკური კარიერა გაიკეთა. ჩემი დამოკიდებილება ამ მთავრობის მიმართ, არც არასდროს დამიმალავს და არც არასდროს ვყოფილვარ მათი საქმიანობით კმაყოფილი, პირიქით, ყოველთვის კრიტიკული

ვარ. მაგრამ ამ ეტაპზე რეალურად იკვეთება ორი მინისტრის პასუხისმგებლობა. პირველ რიგში, სოფლის მეურნეობის მინისტრის პასუხისმგებლობა, რომელიც ეჭვქვეშ არ უნდა დადგეს, ხოლო ენერგეტიკის მინისტრი პარლამენტში უნდა მიიწვიონ და იქ გაარკვიონ მთელი რიგი საკითხები. ანტიკრიზისული კომისია რომ არის გია თორთლაძე რომ ხელმძღვანელობს, რისთვის არის? ამ გაგანია ზაფხულში, როცა წყალიც არის და ენერგეტიკული კრიზისიც დაძლეულია, რამდენჯერ გაითიშა დენი. შეიძლება ხეთაგურმა ისეთი განმარტებები მისცეს, რომ მისი პასუხისმგებლობის საკითხი არ დადგეს. თუმცა ჩემი აზრით, პარლამენტმა უნდა მოსმინოს, რა ხდება ენერგეტიკაში.

– ითქვა, რომ ავტომანქანების სავალდებულო დაზღვევა, რომელიც აქამდე გაუქმებული იყო, ახლა ისევ სავალდებულო ხდება და ამ გზით შემოსავლები 10 მლნ-ს ნაცვლად, რაც იყო, 80 მლნ-მდე გაიზრდება. საბიუჯეტო პრობლემა უდგას ხელისუფლებას?

– საბიუჯეტო პრობლემა როგორ არ უდგას. თუმცა მანქანების დაზღვევა წავა კერძო სადაზღვევო კომპანიებში. უცხოური დახმარება რომ არ შემოდიოდეს, მოსახლეობა ბევრად უფრო მძიმე მდგომარეობაში იქნებოდა.

შორენა კოწოწაშვილი